ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N36

ქ. დმანისი **2024 წელი**

ერთის მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია,** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ზოოლაიფი +" წარმოდგენილი დირექტორის ნატალია ოჩიგავას სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიუსაფარი ძაღლებისათვის საკვების შესყიდვა (CPV15710000 - ცხოველების მზა საკვები შინაური და სხვა ცხოველებისთვის);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3850 (სამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარს(დღგ-ს ჩათვლით)

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- მიწოდებული საქონლის დასახელება;
- მიწოდებული საქონლის მოცულობა;
- მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. უფლებამოსილი პირი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შრომის უსაფრთხოების საკითხებში - ბექა ქრისტესიაშვილი.**

7. საქონლის მიწოდების ვადა:

7.1 საქონლის მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3 **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობის. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-7 მუხლში.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შრომის უსაფრთხოების საკითხებში - ბექა ქრისტესიაშვილი.**

9.2ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება მთლიანი ღირებულების 10%.

10.2 ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში შეუსრულებლობის გამო, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით

10.3 იმ შემთხვევაში, თუ 10.2 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.6ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12.დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.2 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.

15.რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53	შპს „ზოოლაიფი +“ მის.: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზესარიონ ჟღენტის ქ., ჩიხი №2, სად. 1, სართ. 2, ბინა 15 საიდენტიფიკაცო კოდი: 204566807 საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCGE22 ანგარიშის ნომერი: GE40TB1197936020100002 ტელ.: 555058787 ელ-ფოსტა: mailto:geozoolife@gmail.com tamunashonvadze@gmail.com
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „ზოოლაიფი +“ -ის დირექტორი**
DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2024.01.17 14:26:39 +04'00' ----------**კობა მურადაშვილი**	---------- **ნატალია ოჩიგავა**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2024წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2024 წლის №36 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ **კობა მურადაშვილი**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის შრომის უსაფრთხოების საკითხებში

Beka Kristesiashvili Digitally signed by Beka Kristesiashvili Date: 2024.01.18 12:34:32 +04'00'

---------- **ბექა ქრისტესიაშვილი.**